№ 101
პარასკევი, 12 მაისი, 1900 წ.

ფასი გაზეთისა:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

187

# ივერია

№ 101
პარასკევი, 12 მაისი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 22



## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 25 და 26 მაისს მუშტაიდის ბაღში, და თუ ვინიცობაა ამინდმა ხელი შეუშალა, იმ შემთხვევაში გადადებულ იქნება 28 და 29 მაისისათვის. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

მ. ა. პოკროვსკი—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

მ. ლ. მარკოვიჩი—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. საღოსტაქრო.

ი. დ. გეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საკანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის მეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. საღოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ა. ნ. შპაკოვსკი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი $1$—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 საათ.

ვ. მ. მახვილაძე—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ახალი სტამბა

მიხეილ გაჩეჩილაძისა

# დ. ყვირილაში

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს გასაკეთებლად და ჰკისრულობს მათ შესრულებას სუფთად და სწრაფად. სტამბასთან არის წიგნებისა და კანცელარიის ნივთეულობის მაღაზია და წიგნების საკაზმავი სახელოსნო. ფასები ზომიერია.

(7—6.—2)


## მთავრობის განკარგულებანი

გამწესებულ იქმნენ: ტფილისის სახაზინო პალატის კანცელარიის მოხელედ პოდპოლკოვნიკის შვილი თავ. გიორგი ჯავახიშვილი; ფარნა (იგივ ექვთიმე) პაპაშვილი—სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად.

გადაყვანილ იქმნა: ტყის მცველთა კორპუსში მოსამსახურე ნიკოლოოზ ისარლიშვილი—ტფილისის სახაზინო პალატაში შტატს გარეშე მოხელედ.

## ახალი ამბავი

*** გზათა მინისტრი თავადი მ. ი. ხილკოვი მაისში კავკასიაში ჩამოსვლას აპირებს. ხილკოვი ჩამოვა ფოთის გზით და ტფილისიდგან 18 მაისს ისევ პეტერბურგს დაბრუნდება საქართველოს სამხედრო გზით.

*** ახლად დაარსებულს ტფილისის საკომერციო სასწავლებელში მისაღები ეგზამენები უკვე დასრულდა. თხოვნა შეიტანა: მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში შესასვლელად 81 კაცმა, უფროს განყოფილებაში—121, პირველ კლასში—98; ამას გარდა ეგზამენების დროს 36 თხოვნა შევიდა კიდევ; ამ რიგად სულ 336 თხოვნა შეუტანიათ. ეგზამენების შემდეგ მიღებულ იქმნა: მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებაში—101 ბავშვი, უფროსს განყოფილებაში—132 და პირველ კლასში—77, სულ 310 ბავშვი. ეროვნებით ასე განაწილდებიან: მოსამზადებელ კლასის უმცროსი განყოფილება—87 სომეხი, 8 ქართველი, 3 ებრაელი, 2 რუსი, 1 პოლონელი; უფროსი განყოფილება—100 სომეხი, 14 ქართველი, 7 ებრაელი, 4 რუსი, 3 მაჰმადიანი, 2 ნემეცი, 1 პოლონელი და 1 ფრანგი; პირველი კლასი—60 სომეხი, 7 რუსი, 4 ებრაელი, 3 ქართველი, 1 მაჰმადიანი, 1 მთიელი და 1 ნემეცი. ამ 310 მოსწავლეთაგან 251 ვაჭრის შვილია, 30 გლეხისა, 17 მოხელისა, 8 სასულიერო წოდებისა და 5 თავად-აზნაურია.

*** დღეს, 12 მაისს, საღამოს 8 საათზედ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება. ამ კრებაზედ, სხვათა შორის, განხილული იქნება სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ტფილისის საბაღოსნო სკოლის ამა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

*** ქართველ თავად-აზნაურთა თეატრის გადასაკეთებლად შედგენილი პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა ამ ჟამად ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს აშენებლ. განყოფილებაშია წარდგენილი განსახილველად. პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის მიერ დანიშნულ კომისიის ჩვენებითა და ხელმძღვანელობით არის შედგენილი.

*** კვირას, 14 მაისს, სახალხო კითხვათა შენობაში, ავჭალის ქუჩაზე, ბ-ნ შათირიშვილის რეჟისორობით ქართული სახალხო წარმოდგენა იქმნება გამართული. წარმოდგენილი იქმნება „პარიზელი ბაჭი" კომ. 2 მოქ., თარგმ. დ. ერისთავისა. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ ქ.ქ. საფაროვ-აბაშიძისა და ჩერქეზიშვილისა. წარმოდგენის შემდეგ ბუნდოვანს სურათებს აჩვენებენ იწის ძვრის შესახებ.

*** აგრონომი თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, რომელსაც სამიწად-მოქმედო სამინისტრომ დაავალა მეურ-

## ფელეტონი

### „ეგ არის შენი სიყვარული?!"

(ეტიუდი)

ვინ იცის, შენი გულის სიღრმეში რა სიხარულის ალმური ტრიალებდა იმ დროს?!. რა ბრწყინვალე იმედები გესახებოდნენ თვალ წინ!.. სად, რა განყენებულ სამეფოში დაჰყავდი ერთებ შესხმულ ოცნებას, როდესაც ბებიამ აღტაცებით წამოიძახა: „მოგილოცავ, გიბედნიეროსო!" დიაღ, დიდი ბედნიერება იყო ამ დროს შენთვის ვაჟის შეძენა! ამით შენს ოჯახს ერთი მუშა ხელი, ერთი იმედი შეეძინა... ასეთმა უეცრივმა ბედნიერებამ შორს გაგაფრინა... უცებ შენის გონების სამეფოში მთელის მისის მომავალ მოქმედების ასპარეზი დაგისურათდა... აი, ჰხედავდი კიდეც შენს შვილს გაზრდილს, დავაჟკაცებულს, თოხით მხარზედ გადებულს!.. გვერდში ამოგდგომოდა, შენთან ერთად დილიდგან საღამომდის ოფლსა ღვრიდა, ჰშრომობდა, ცხოვრების ჭაპანს შენთან ერთად ეწეოდა! ამჩნევდი კიდეც, რომ შენი მეზობლები რაღაც ხარბის თვალით გიცქეროდნენ!!. „შვილი წამოეზრდება, წელში გაიმართებაო", ჰფიქრობდნენ შენი მოსისხლე მტრები...

მაგრამ იმათის გულის გასაპობლად, ერთს კვირაში ორი ბედნიერება ეწია შენს ოჯახს: ვაჟი და მე—შინაური მოზვერი—მოგემატეთ სარჩენად... დიახ, სარჩენად ჯერ-ჯერობით, მაგრამ შემდეგში კი მოძმედ, გაჭირვებაში მშველელ-დამხმარედ... შენს მუდამ დანაოჭებულს შუბლზედ დღეს იმედების შუქი მიგფენოდა... სახე სულ გაბრწყინვალებული გქონდა... სულიერი მღელვარება ერთს ადგილას არ გაჩერებდა... რაღაც მოუსვენრობა გეტყობოდა... შენს გულში ჩახედვა მაშინ მართლა რომ საინტერესო იყო... ნეტავი რომლის შეძენამ უფრო გაახარა შენი გული, შეათამაშა შენი დადუნებული გრძნობები, წარკვეთილი სასოება?! ვაჟმა თუ ხბომ—შინაურმა მოზვერმა, მომავალში შენმა ერთგულმა მუშამ?! აი საკითხი, რომლის პასუხის მიცემაც მარტო შენს დაფარულს გულს შეეძლო... დიახ, ორივენი ერთ კვირაში დავიბადეთ; მე და შენი პირველი ვაჟი ერთის კვირის მოზიარენი ვიყავით... დრო მიდიოდა; ორივე ბუნების წესების მონა-მორჩილნი ვიყავით: ვიკვებებოდით, ვიზრდებოდით, ასაკში მოვდიოდით... თითოეული ჩვენი მოძრაობა, ხტუნვა-ალერსი სიამოვნების სხივში გაგხვევდათ ხოლმე. როცა შენმა კოტემ ფეხი აიდგა, მე მინდვრად ხტუნვა-ცელქობა შემეძლო....

თუ ოჯახში დარდების გადამყრელი, სევდის გამფანტველი ერთი შენი კოტეს თვალის გადავლება იყო, მაგიერ გარეთ ჩემს შეხედვას არაფერი არ გერჩია...

ორივეს იმედით სავსე თვალებით გვიცქეროდი... ორივესათვის ერთს მკერდში გიძგერდა მოსიყვარულე გული... ორივეს ერთის სულითა და ერთის გრძნობით გვეალერსებოდი... შენი არ ვიცი, მე-კი სრული ბედნიერი ვიყავი მაშინ შენით... შენით, რომელიც ღვიძლზედ ნადებ შვილში არ მარჩევდი, სულში მიძვრენდი, განუსაზღვრელ სასოებით მიყურებდი... მაშინ სრული უვიცი, უგუნური ვიყავი ცხოვრებისა... „თეთრი კბილი, შავი გული" მაშინ ჩემთვის გაუგებარი იყო... ჩემი ღვიძლი დედა დამტირებელ-დამძლხინებელი, საძაროს კარებამდის მიმტანი, მწუხარების ცრემლების გადმომყრელი, შენ, მარტო შენ იყავი და მოგენდე კიდეც.. მოგენდე მთელის ჩემის ძალ-ღონით, გრძნობა-მისწრაფებით.. მოგენდე და არც დამიზოგავს თავი შენის არსებობის შესაკავებლად, არ დამიზოგავს, ვიდრე ძალ-ღონე მომდევდა, სასიცოცხლე გული მკერდში მიფეთქდა... კოტე რომ პირველად სკოლაში მისცეს, მეც იმ დღეს შემაბეს პირველად უღელში... კოტე სკოლას უნდა გაეხედნა... მე-კი შენს ბებერს, ბევრისაგან ბევრის მნახველს, გამოცდილს წიქარა ხარს... მე ცელქი, ჰაერში მონავარდე, ერთს დაფშტვენაზედ კლდეში მხად გადამხტომი, ის-კი დინჯი, ცხოვრების ტალღებით დაღლილ-დაქანცული, მძიმედ მოსიარულე, ერთად უღელში შეგვაბეს... შეგვაბეს, მაგრამ ჩემს ტანჯვა-წვალებას საზღვარი არა ჰქონდა... ვხტუნავდი, დედამიწას ვასკდებოდი, უღემს, ტაბიკს, უღელს ვამტვრევდი, ბაწარს ვგლეჯდი, ზევით ცას ვებრძოდი და ქვევით დედამიწას... ის კი მუდამ დინჯად, მუდამ აუჩქარებლად მიზოზავდა.. ხან-და-ხან კი გადმომიბღვრიალებდა ხოლმე თვალებს და ენის მაგიერ თვალებით მეუბნებოდა: „მოიცა, ნუ ჩქარობ, ნუ ხტუნავ! მეც შენებრ ვხტუნავდი, ვცელქობდი, მაგრამ, დახე, ცხოვრებამ რაიგ გამტეხა, როგორ დამამშვიდაო!" მართლაც, ეს შემდეგში ავიხდა... ამის სინამდვილეში ახლა თანდათან ვრწმუნდები... რამდენჯერ მახსოვს მძიმე ტვირთი კისერს მიჭრიდა, უღელი ქედს მიხეხდა, ტყავს მაძრობდა, მაგრამ შენი მოხიბლველი სიტყვები: „აბა ჰა, მაცხოვრე, მიანე, მიანე, შენს გაიჩეხს ვენაცვალეო!," მამხნევებდა, აღტაცებაში მოვყავდი და რაც შემეძლო თავს არ ვიზოგავდი. ახ კი როგორ უნდა მღალატო?! თვალებს მიკოცნიდი, ზურგზედ ოფლს მიწმენდდი, რაც რამ კი საჭმელი იყო, სულ ჩემთვის გიხდოდა... ჩემთვის, სულ ჩემთვის ფიქრობდი... თუმცა უმეტყველო ვიყავი, მაგრამ მეტყველობის მაგიერ გრძნობით გიპასუხებდი ხოლმე, თავს მსხვერპლად გწირავდი... ამ გვარ კავშირის შემდეგ ნუ თუ ნება მქონდა ჩემდამო შენს სიყვარულში ეჭვი შემეპარებოდა, მუხანათობა შემეწამა?!. ნუ თუ მესამ-

ნეობის მდგომარეობის შესწავლა-გამოკვლევა დასავლეთ ევროპასა და ალჟირში, ამ თვის დამლევს წავა საზღვარ გარედ.

*** გუშინ, ხუთშაბათს, 11 მაისს, ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრთა და ქალაქის მოურავს მოლაპარაკება ჰქონდათ იმის შესახებ, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღოს ქალაქმა შაბათს, 12 მაისს, მისის უდიდებულესობის სპარსეთის შაჰის ტფილისში მობრძანების დღეს შესახვედრად. გამგეობამ დაადგინა ამ საქმისათვის საჭირო ფული გადასდოს მიმდინარე წლის გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვის თანხიდგან.

*** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა წლიური კრება დანიშნულია კვირას, 28 მაისისათვის.

*** ქალაქის გამგეობას უკვე წარუდგენია ქალაქის სამხედრო ბეგრის საკრებულოსათვის სიები იმ ახალგაზრდებისა, რომელნიც ამ წელს უნდა გაიყვანონ ჯარში.

*** კავკასიის სატეხნიკო საზოგადოებას განზრახვა თურმე აქვს შუამდგომლობა დაიწყოს, რომ ტფილისში უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებელი იქმნას დაარსებული. ამ საგნის შესახებ სხდომა განზრახულია 20 მაისისათვის იქმნას დანიშნული.

*** 8 მაის 1902 წ. ტფილისის სახაზინო პალატას, რომელიც საქართველოს უმაღლეს მმართველობის დროს იქმნა „სახაზინო ექსპედიციის“ სახელით დაარსებული, სწორედ ასი წელიწადი უსრულდება. ამის შესახებ სახაზინო პალატის მმართველმა ცნობა გაუგზავნა ფინანსთა მინისტრს.

*** როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა მოსთხოვა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს დაწვრილებითი ცნობები წარსულ, 1899 წელს, მომხდარ სასტატისტიკო გამოკვლევათა შესახებ. ეს ცნობები შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა წარედგინოს. ამაზედ საზოგადოების საბჭომ ბ-ნს გუბერნატორს წარუდგინა განსაკუთრებულ კომისიისაგან შემუშავებული პროგრამმა სასტატისტიკო ცნობების შესაკრებად და თან დასძინა, რომ საზოგადოებას წინა წლებში სტატისტიკური ცნობები არა ჰქონია, ამ ჟამად იბეჭდება მხოლოდ საზოგადოების წევრის ბ-ნ ზავაროვის მიერ შეკრებილი ცნობები პურის მოსავლისა და კავკასიის სხვა-და-სხვა მცენარეულობის შესახებ და ამ წიგნს, როდესაც დაიბეჭდება, წარმოგიდგენთო.

*** ტფილისის ოლქის სასამართლომ დაამტკიცა ქალაქის მეორე განყოფილების მოსამართლის გარდაწყვეტილება, რომლითაც იარმუკაში თევზით მოვაჭრე სერგო ნადიროვს ერთის თვით დაპატიმრება ჰქონდა გარდაწყვეტილი იმის გამო, რომ თევზის აწონის დროს სიყალბე ჩაიდინა და მსყიდველს 1 $^1/_4$ გირვანქით ნაკლები მისცა თევზი. ნადიროვი გუშინ წინ დააპატიმრეს.

*** ტფილისში უკვე ჩამოიტანეს ათი ვაგონი გელათის ქვა ტფილისის ქუჩების მოსაკირწყლავად.

*** ახალქალაქისა, გორისა და დუშეთის მაზრის მცხოვრებთათვის სათესლედ ხაზინას 30,000 მან. უსესხებია იმ პირობით, რომ ეს ვალი წვრილ-წვრილად გარდაიხადოს 5 წლის განმავლობაში; პირველს სამს წელიწადს სარგებელს არ გადიხდიან, დანარჩენ ორს წელს-კი 3% სარგებელს გარდიხდიან.

*** საქართველოს სამხედრო გზაზედ სადგ. ლარსსა და ყაზიბეგს შუა მე-4, 5, 6, 8 და 10 ვერსზედ მიწის ზვავი ჩამოწვა; გზა შეკრულია. ამის გამო ორი დღეა რუსეთის ფოსტა არ მოგვსვლია.

*** დიდის ნიაღვრების გამო სადგურ მოლითსა და მარელისში მიწის ზვავი ჩამოწოლილა, ხოლო ბაქოს მხარეზე წვიმებს ლიანდაგი წაულეკია; ამ მიზეზით ამიერ კავკასიის რკინის გზაზე მატარებლების ჩვეულებრივი დროზედ მიმოსვლა შეწყვეტილია.

*** როგორც გაზ. „Кавказъ“-ს შეუტყვია, ფოთის ქალაქის თვითმმართველობას შუამდგომლობა დაუწყვია საერო განათლების სამინისტროს წინაშე, რომ სამეგრელოს საქალაქო სასწავლებლის ახალ შენობისათვის ხაზინიდგან 40,000 მან. სესხი მიეცეს ფოთს იმ პირობით-კი, რომ ეს ვალი ყოველ-წლიურად ორას-ორას თუმნის შეტანით იქმნას გადახდილი. გარდასახდელად დარჩენილს ვალში 4% სარგებელი უნდა იხადონ.

*** რადგანაც დიდის ნიაღვრების გამო ბაქოსა და პეტროვსკს შუა გზა წალეკილია, სპარსეთის შაჰის მუზაფფერ ედდინს გარდაუწყვეტია ბაქოდგან ტფილისში ჩამოვიდეს და მერე აქედგან წავიდეს საქართველოს სამხედრო გზით რუსეთში. შაჰი ტფილისში სამს დღეს დაჰყოფს.

*** ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს ცნობა მიუვიდა ტფილისის მექვსე ნაწილის პოლიციის ბოქაულის გლებოვისა და ტფილისის მაზრის უფროსის თავ. ჯანდიერისაგან, რომ ბორჩალოს მაზრაში თავს იფარავს ავაზაკთა ბრბო, 5 კაცისაგან შემდგარი, ყარა-მამედის მეთაურობით. მაშინვე ებრძანა ტფილისსა, ყარაიაზსა და შულავერში მყოფ დარაჯთ, 7 მაისს შეკრებილიყვნენ ბორჩალოს მაზრის დაბა ჯანგარში, მაგრამ ავაზაკებმა შეიტყვეს თურმე ეს ამბავი და ყაზახის მაზრაში გადავიდნენ და იქიდგან ყარაიაზის მინდორზედ. აქ წმ. იოანნეს მონასტრიდგან ერთის ვერსის მანძილზედ დარაჯებმა დაინახეს ხუთი შეიარაღებული კაცი და გარს შემოერტყნენ. ავაზაკებმა თოფის სროლა ასტეხეს და ამათაც სროლა დაუწყეს თოფებისა. ბრბოს მეთაური ყარა-მამედი რამდენსამე ალაგას დაიჭრა და ცხენიდგან გადმოვარდა. შემდეგ მოკლულ იქმნა მისი ამხანაგი უელია. დანარჩენნი სამნი-კი სიღნაღის მაზრისაკენ გაიქცნენ ცხენებით და მდევარი გაჰყვა უკან. დაჭრილი ყარა-მამედი ყარაიაზის სადგურზედ ჩამოიყვანეს, აქ ჭრილობანი შეუხვიეს და ტფილისში გამოგზავნეს.

*** ტფილისის მაზრის უფროსს თავ. ლ. ჯანდიერს, გაუგია-რა, რომ ავაზაკის ბრბო იმალება კრწანისის ბაღების იქით ტყეზ-ერის სერზედაო, 6 მაისს, დილით, თავისი თანაშემწე ბ-ნი შამიკოვი გაუგზავნია იქ და თან დარაჯების რაზმი გაუყოლებია. დილის 11 საათზე, ტფილისის ერთ-ერთ პოლიციის ბოქაულისა და ხოპერის უაზხთა რაზმის დახმარებით, ბ-ნს მამიკონოვს მიუგნია ბრბოს კვალისათვის. თოფის სროლა ამტყდარა, რომლის დროსაც ავაზაკები — გრიქურ ოქანესოვი და მისეილ არუთინოვი მოუკლავთ, ხოლო მათი ამხანაგი — დარჩო ბახვალოვი, რომლიც შეიარაღებული ყოფილა ხანჯლითა და რევოლვერით, დაუჭრიათ. ამ ბრბოს მეორხე წევრი — არაქელ გასპარიანცი ამ 10—12 დღის წინად შეიპყრეს მდინარე ხრამთან.

*** დ. სურამი. მომავალმა ზაფხულმა დიდი ფაცი-ფუცი აუტეხა აქაურ აგარაკთა პატრონებს. ყველა სცდილობს, რაც შეიძლება, უფრო მშვიანად და სუფთად მოაწყოს თავისი სახლი, რომ მეტ ფასში გააქირავოს. ღარიბი თუ მდიდარი, ყველანი აგარაკების აშენებით არიან გატაცებულნი. სოფოს სისწრაფით მრავლდება ამ ბოლოს დროს სახლები სურამში, რის გამო სურამი შესამჩნევად გაიზარდა და პატარას, მაგრამ კოხტა ქალაქს, დაემსგავსა. თავისი ლამაზი მდებარეობით, საუცხოვო ჰაერითა და წყლებით, სურსათის სიიაფით და რკინის გზით თან-და-თან უფრო მეტს ხალხს იზიდავს სურამი საზაფხულოდ. საზაფხულოდ მომავალ კაცისთვის საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ იგი სურამში გრძნობს თავს ისე თავისუფლად როგორც სოფელში. არც აქაური გაჭრები არიან უურ-ჩამოურიდები. სეზონის მოახლოვებამ მათ უფრო აუმღვრა გული და მათ აქამომდე დაღვრემილ სახეს სიამოვნების ღიმილი შეეპარა. დუქნები ივსება სხვა-და-სხვა საქონლით; ყველა ვაჭარი ცდილობს საზაფხულოდ მოსულ ხალხის გემოვნებას შეუფეროს თავისი საქონელი. სურამში ორი ბაზარია — გაღმა და გამოღმა და სამასზე მეტი დუქანი, რომლებიც, ორიოდეს გარდა, სომხებსა და ურიებს ეკუთვნის.

აქ წვიმიანი და ცივი ამინდებია, რის გამო ჯეჯილმა ვერ აიწია.

*** სოფ. ფშაველი (თელავის მაზ.). აღდგომის დღესასწაულებმა, ღვინის ბრალი იყო, თუ ადამიანის უზომო-უანგარიშობა, ორი კაცი გაიყოლია თან. პირველი იყო თიონელი მეცხვარე, რომელიც აღდგომის ორშაბათს, კარგა შეზარხოშებული კახურით, ხალხში გასულიყო. საღამოთი მუცლის ტკივილი ეგრძნო და მეორე დღეს-კი სული განუტევა. მეორეს — ფშაველ მეღორეს — ღვინო მოსჭარბებოდა და ღორს რომ ველარ გაჰყოლოდა, ერთის კლდის თავზედ წამოეძინა. როდის და რა დროს გამოეღვიძა, ვინ იცის, მხოლოდ მეორე დღეს, დილით, მაღლიდგან დაგორებული იპოვნეს ხევში. ხმას ველარ იღებდა. შინ რომ მიიყვანეს, სული განუტევა.

## წერილი კახეთიდან

(თელავის მაზრა).

კარგი რამ არის გაზაფხული, მერე იმისთანა მხარეში, როგორიც კახეთია. უპირველეს ყოვლისა აწ მდგომარე გაზაფხულის ქება-დიდება უნდა მომეწერა, თუ რომ მისის ერთის ზნე-ჩვეულებისაგან გულ-ნატკენი არ ვიყო. მაგრამ ერთი-ორის კაცის გულის ტკენა, გინდ ერთი-ორის სოფლისაც, რასაკვირველია, მთელის მხარისას არ უდრის. ამიტომაც პირველად ისეგ გაზაფხულის საქებ მხარეებს ჩამოვთვლი და ბოლოს, არ შეიძლება, მისი სახელის გამტეხი და საგმობი ზნე ჩვეულებაც არ აღვინიშნე.

წარსული ზამთარი კახეთში მძიმე არ იყო, რის გამოც საქონელს — ცხვარს, ძროხას, თუ ღორს — არ უზარალნია. მეცხვარისა არ იყოს, ცივანიც არავის დაჰკლებია ზამთრისაგან. შირაქიდამ მომდინარ თუშ-ფშავლის ცხვარს დიდ-ძალი ნატკანი მოსდევს *). გაზაფხული ისე უცბად გამოსტყვრა, რომ ხალხი გაოცებული დარჩა. ტყე-მინდორი სწრაფად შეიმოსა ფოთოლ-ბალახით. ხალხი იტყვის: ბზობას ჯეჯილში ყვავი უნდა იმალებოდესო. თუმცა ბზობა ზოგჯერ აპრილის ნახევარში და უფრო გვიანაც მოდის, როცა ჯეჯილი კარგა მოზრდილია, მაგრამ წელს ბზობას, აპრილის ორში, ყვავი-კი არა, ინდაურიც დაიმალებოდა. ახლა ხომ ყანები თავ-წასხმულია. ყველა დარგს მეურნეობისას, ყოველისფრის მოსავალს ისეთი პირი უჩანს, რომ უკეთესის ნატვრა აღარ შეიძლება. ჭირ-ნახული — რა ჭირნახული! სულ ერთმანეთზედ უკეთესია შემოდგომის ნათესი და გაზაფხულისაც. ვაზმა გამოიტანა ისე, რომ, ხალხის თქმისა არ იყოს, უბედურის თვალით არ ინახვება.

მაგრამ აქაურ გაზაფხულს, როგორც ზემოთაც ვთქვი, ერთი ცუდი ზნე სჭირს, რომელიც ყოველ კახელს გაზაფხულის მოგონების სიამოვნებასთან ორ ზომა სიმწარეს აგრძნობინებს ხოლმე. ეს ზნე გახლავთ სეტყვის მოსვლება. პირველ გაზაფხულიდამვე მიჰყვება ეს შეუბრალებელი სტიქიონი და ხან ერთ სოფელში ამოჰყოფს თავს და ხან მეორეში. მთელის გაზაფხულის და ზაფხულის განმავლობაში, ნახევარს თუ არა, ხოთხსა მაინც კახეთის მკვიდრთაგანს ცხარე ცრემლით ატირებს ხოლმე და ცხოვრების სახსარს უქრობს სრულიად. რა გაუწყრებოდა კახელს, რომ სეტყვის ძოვლებისაგან უზრუნველ-ყოფილ იყოს მისი დედულ-მამული.

გაზეთის მკითხველებს ახსოვსთ, რომ ამას წინადაც იყო სეტყვა თელავის მაზრის ზოგიერთ სოფელში. ახლაც, 29 აპრილს, ხამუადღევის ორ საათზე, წამოვიდა საშინელი ქარიშხალი გაბმული ჭექა-ქუხილით და წამოუშინა სეტყვა აღმოსავლეთის მხრიდამ ხუთს სოფელს: მაღრანს, ბაბანეურს, ლალის ყურს, ფშაველს და ართანას. უკანასკნელ სამ სოფელში ისე გასწყვიტა მცენარე და სათესი, რომ მტერს ატირებს. აწრული და თავმოღებული ყანები გაანადგურა, ვენახებში ცარიელი ვაზები და ხმელი ჭიგოები დასტოვა, სხვა მოსავალი სულ მიწასთან გაასწორა. ისე ჩაიფუჭა, ისე დაღონდა ხალხი, რომ ბევრმა ცრემლები გადმოჰყარა! გამარჯვების მეგიერ სამძიმარს-და ეუბნებოდნენ ერთმანეთს. უკანასკნელი ღონე ამ სოფლებისა გაზაფხულის ნათესებს და ფუტკ სიმინდის მოსავალზედ დაა დაყრილი. დღეის

*) სიტყვამ მოიტანა და უნდა შევნიშნო, რომ ხანდახან შევხვდებით, უფრო ქიზიყიდამ მოწერილ ამბებში: „თუშ-ფშავ-ხევსურის ცხვარი შირაქში“-ო. თუშისა და ფშავისა-კი შეიძლება, მაგრამ ხევსურს და მის ცხვარს რომ შირაქი არაოდეს არ უნახავს, ეს ცხადია იმათთვის, რომელთაც ხევსურეთი და ხევსურის ცხოვრება იციან. არც არავის ხევსურის მეცხვარეობა უნახავს და გაუგონია. ხევსურის ცხვარს შეადგენს რამდენიმე თხა, რამდენიმე ცხვარი, და საქონელს: ერთი ან ორი ხარი და ორიოდე ძროხა, რომელთაც ხევსურეთშივე ჰკვებავს ზამთრობით.

ლო იყო მეფიქრა, რომ შენის გულის სიღრმეში უმანკო სიყვარულის ადგილას რაღაც სულ სხვა ბნელ სამგლოვიარო ძაძით შემოსილი გეგულიანი გრძნობები დაბინავებულიყვნენ?.. გრძნობები, რომლების ფიქრის გადახდამაც სრულიად დამარწმუნა ჩემს წინასწარ მოსაზრებაში... რაც უფრო მოხუცებაში შევდიოდი, ეს უმანკო სიყვარულის გრძნობა თან და თან ცივდებოდა, მშორდებოდა, უცნაურს სიცივესა ვგრძნობდი... უწინდელი აღარც მადლიერი შეხედვა შენგან, აღარც ალერსი, არც პატივისცემა... ვეგდე ხის ქვეშ, ხმელის ჩალის ღეროების ამარა, სისუსტისა გამო დაცემული; კუდის მოძრაობაც აღარ შემეძლო, გათამაშებული ბუზები თავისუფლად ეხეტებოდნენ ჩემს დაჭმუჭნილ ზურგის მოედანზედ... მოხუცებულობით არ ვიყავ დავრდომილი... ეს შენც კარგად იცოდი... მეტისმეტმა შრომამ, ერთგულებამ უდროოდროოს გამტეხა, მომკლა... ვაჟკაცობაზედ ღონე მერთმოდა... ეს ღონე სულ შენ, მარტო შენ შემოგწირე, იმ იმედით, რომ მოხუცებულობის დროს მომივლიდი, ამას დამისწავლიდი... მაგრამ, საუბედუროდ, თურმე ვტყუვდებოდი... დაგავიწყდა განა ის დრო, როდესაც თვალ-ცრემლიანი ადექი თავზედ შენის მიცვალებულის მეუღლის გაცივებულს გვამს?!. ხომ გახსოვს ისიც, რომ არც ერთი შენი მეზობელი არ მოგკარებია, ცოლი შავი ჭირით მოგიკვდა და ამ დროს მარტო მე გითანაგრძნე, გვერდში ამოგიდექი და ამ გაცვეთილ ქედით გავიტანე მიცვალებული სამარეს კარებამდის?!. ისიც ხომ კარგად გახსოვს, რომ მამასახლისმა მთელი შენი შინაური ავეჯეულობა აგიწერა, გიყიდდა... მე გამაქირავე, ორის დღის ჩემმა ნაღვაწმა ატირებული ცოლ-შვილი დაგიმშვიდა, სიტყვით-ნუგეშით გაგიწონდა?!. ხომ გახსოვს ეს? ან? [illegible] დადუმებულხარ შენი ბაგენი?! რატომ რიგორ მომასუსტებ?! ნუ თუ ცხლებანს აღარ მაძლევ ბუზების წინაშე შემოსულად?!. ნუ თუ არ მაქვს ნება შემიშრომე სიკვდილით, ისე როგორც მოვემსახურე ამ სოფლად? ვინც მომავლინა, იმანვე მიმიღოს... ქმის, დროის შემოგულბლად, დაუტანჯველი... რა მოგიცია, რომ მართმევ? რა დამიშავებია, რომ ბასრი მახვილით გინდა გამიპო ჩემი ამდენი ხნის ნაშრომ ნაღვაწი, შენი ოჯახის სიყვარულით სავსე გულ-მკერდი?!. რად სდუღს, ადამიანო, შენში ასეთი შური, უგრძნობლობა, ამაგის დავიწყება?! რათ გაგცივებია ეს კეთილშობილური გრძნობები?! ნუ თუ ყველაფერი, რასაც მეუბნებოდი, ყველაფერი ტყუილი იყო?! მაშ რას მერჩი? სიკეთის მეტი შენთვის რა მიქნია?! ეგ, ეგ არის ამაგის დანახსოვრება? ეგ არის შენი სიყვარ...

სიყვარულიო, უნდა ეთქვა, რომ ყელიდგან იხრიალა სისხლის ნაკადულმა... უცებ გარეშემო არე-მარე წითლათ შეიღება... შრომისგან დაქანცული ხმა შეჩერდა. . თავი განშორდა ტანს, მაგრამ ჯერ ისევ ჰიბოლ დღეორიან თვალების კვალი ჰქონდა [illegible]... „შეგიდა ამის გვლიოთ სავსე ადამიანის გულო, ხომ გაგე, ხომ შენ შენრულე მაინც?! განა, ესეც არის შენი სიყვარული?“

თეფ. ხუსკივაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხომ ამ სამს სოფელში წლეობით ფუძეშედ გაჰქრა.

სეტყვისაგან მიყენებული ზარალი რომ გავითვალისწინოთ, რასაკვირველია, დიდი აღმოჩნდება. ავიღოთ, მაგალითად, სოფელი ფშაველი. ამ სოფელში, სამეცნიერო დასის ცნობით, თუ ხსოვნა არა მღალატობს, 215 დესეტინა ვენახი ითვლება. ისე როგორ იქნება, რაც უნდა მცირედ ჩავაგდოთ, დესეტინა ვენახზედ 100 მ. ზარალი არ იყოს. გამოვა, რომ მარტო ვენახის მოსავლის ზარალი ფშაველებს მოუვიდათ 21,500 მ. ამას მივუმატოთ მინდვრის ჭირნახულისა, ბაღჩისა, ფურცლისა, ბოსტნისა, ყოველნაირ ხილისა და ჩვენ ნათლად წარმოვიდგენთ, თუ რა უზომო ზარალი მიაყენა სეტყვამ ამ სოფლებს.

ფშაველიშვილი

## პატარა ეპისტოლე ბ-ნ ჟორდანიის კლაკიორებისა და შინაყმების მიმართ

1900 წ. „კვალის" მე-17 №-ში დაბეჭდილ „წერილი რედაქციის მიმართი"-ს გამო.

წვრილფეხობამ დაჰკრა ნაღარა... ბ-ნ ჟორდანიას კლაკიორებმაც გამოიჩინავრდეს „კვალს" ფურცლებზედ! ახლა კარგი დროა, შემთხვევა ეძლევათ დაუმტკიცონ თავიანთ კერპს უქვეშევრდომილესი და მონური გრძნობა და მით რაიმე ლიტერატურულ ნამცეცს ჩამოარჩნენ იმ დიად გონებრავ მეჯლისიდგან, რომელსაც „ჟორდანიის პუბლიცისტური მოღვაწეობა და რეალური მამულიშვილობა" ჰქვიდება... მათს წვრილმან არსებას თითქოს სიმართლისა და ჭეშმარიტების კვლევა-ძიების ალი მოსდებოდეს; ისინი თითქოს იტანჯებიან სულითა და გულით „იმ უწმაწურ, უზრდელ და სამარცხვინო წერილებით", რომლითაც „ახალმოსულმა" ჟორდანიას წინააღმდეგ გამოილაშქრა?! ისინი უბრალო მკითხველის სახელით გამოდიან და ბრაზ-მორეულნი თხოულობენ ლიტერატურულ სისუფთავის დაცვას, პრინციპიალურ ნიადაგზე აზრთა შეჯახებას, სიმართლის გამოაშკარავების და სხვანი.

კმარა, ბ-ნ ნ. ჟორდანიას შინაყმანო და კლაკიორნო! კმარა თქვენი ამდენი ჭეშმარიტების და სიმართლის სახელით ღაღადისი, შექა-ქუხილი, რომელშიაც მხოლოდ პირადული, წვრილმანი, შინაყმური გრძნობა-სურვილი იმალება. მაგრამ იმალება კი?

ეს გრძნობა-სურვილ-გულისწყრომა უმეცრება-უტაქტობის იმისთანა მოხმებშია გახვეული, რომ თავისს დღეში თავს ვერ დაჰმალავს!

გირჩევნიათ პირდაპირ აღიაროთ: „ჟორდანია ჩვენი კერპია, ჩვენ მას თაყვანს ვცემთ, მისი სიტყვა ჩვენთვის კანონია, მისი საქციელი ჩვენთვის წასაბაძავი მაგალითია; ის, ჩვენის ღრმა რწმენით, ალფა და ომეგაა მეცნიერების; ამისათვის ვინც მას ხელს შეახებს, ან მის შესახებ ცუდს იტყვის, ის ჩვენი წმიდათა წმიდის შემბღალველია, ის ჩვენი სასიკვდილო მტერია"...

ასე პირდაპირ სთქვით და ჩვენც შევალთ თქვენს მდგომარეობაში; მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება ის ფსიხოლოგიური პროცესსი, ის „რყევა და ნგრევა", ის აბობოქრებული გულის წყრომა, რომელიც თქვენს არსებაში ხდება!

ჩვენ ვიცით საზოგადოდ რა დიდი ძალა აქვს კერპთაყვანისცემლობას, რანაირად გონსა და მოსაზრებას უკარგავს საწყალ ადამის შვილს ფანატიკოსური ქვეშევრდომობა ამ კერპისა!

არც ის არის საკვირველი, რომ თქვენ ნ. ჟორდანია დაისვით კერპად... განა ცოტანი არიან დღესაც ისეთნი ხალხნი, „ადამიანებად" წოდებულნი, რომლებიც შუშის, ქვის და ხის ნატეხებს, ველებს და ველვეშაპებს აღმერთებენ და თაყვანს სცემენ? აბა გაბედეთ ამ მათი თაყვან საცემ საგნების შეხება, შეურაცხება — თქვენთვის სიკვდილი გადაწყვეტილია!.. თქვენ ამაებზე მაღლა სდგეხართ, ერთი ნაბიჯით წინ გაგისწრიათ; უსულო საგნის და პირუტყვის ნაცვლად სულიერი და მრავალმეტყველი არსება გაგიღმერთებიათ, ესეც კარგი საქმეა... ანტროპომორფიზმი ფეტიშიზმზედ მაღლა სდგას და თქვენ ხომ პირველის წარმომადგენელი ხართ!.. გიხაროდეთ!..

როგორც მართლ მორწმუნენი, ანგარიშ მიუცემლად თაყვანსა სცემთ თქვენს კერპს; გონების ნესტარი არ გაგიტარებიათ თქვენის რწმენისათვის; აწონდაწონვას, შედარება-შეფარდებას თქვენს სულსა და გულში ადგილი არა აქვს!.. კარგსაც შვრებით! შორს გონებავ და იმისო ძვირფასო შვილო ანალიზ სკეპტიციზმო! ღმერთმან დაგიფაროთ ამგვარ სენისაგან... ისინი ხომ ღვთაებრივ გვირგვინს ჩამოხდიან თქვენს კერპს და მეფურ კვარცხლბეკიდგან ძირს ჩამოაპრძანებენ!..

ანალიზ-სკეპტიციზმი სიკვდილია სარწმუნოებისა და თქვენც ეცადეთ ამჭირმა არ იმსხვერპლოს თქვენი კერპი — ჟორდანიად წოდებული!..

თქვენ თქვენი კერპი უცოდველად მიგაჩნიათ; გგონიათ, რომ ის დარაჯია ზნეობრივის სისპეტაკისა, ლიტერატურულ ეთიკისა, ზომიერებისა; დარწმუნებული ხართ, რომ ის ჭეშმარიტების შეუდრეკელ შეუპოვარი მკვლევარია, სიმართლის მაძიებელია; თქვენის აზრით, მისი ოლიმპიური შეუფოთველობა დაურღვეველია, მას უცვლელ ჩვეულებას შეადგენს მიუდგომლობა, პირდაპირობა, საკამათო საგნის მეცნიერულად გამოკვლევა...

ეს ყველაფერი თვენ ასე გგონიათ, რადგანაც თქვენი კერპი გიბრძანებთ, ასე იფიქროთ და თქვენც, როგორც ერთგულ-მსახურნი, ყოველივე მისი სიტყვა უტყუარ ჭეშმარიტებად მიგაჩნიათ.

ამისთვისაც არ გამტყუნებთ! ყვავს თავისი ბახალა მოსწონს... თუ მივიღებთ მხედველობაში ფანატიკოს-მართლ-მორწმუნის ფსიხოლოგიას, თქვენ ყოველს შემთხვევაში მართალი ხართ.. მაგრამ ჩვენ რა გქნათ, ჩვენ, რომლებმაც თავი დავაღწიეთ ფეტიშიზმს და კერპთაყვანისმცემლობას, რომლებმაც ეს ხანა გამოვიარეთ და საბედნიეროდ „პერუნს" ფეხებში ხელები წავავლეთ და მიწაზედ დავახეთქეთ რა ვყოთ, რომ თქვენს პერუნსაც ასეთი ბედი ერგო?.. არა, თქვენს წარმოდგენაში ის ისევ ისე კვარცხლბეკზედ სდგას და მეინვარსავით ქვეყნიერებას დაჰყურებს!

მაგრამ ეს მხოლოდ წარმოდგენაა, ნამდვილად-კი დიდიხანია, რომ ის კვარცხლბეკიდგან ჩამოვარდა და მიწაზედ გაშოთილი წევს. გასისხლიანებული, დამტვრეული ის ძლივს ინძრევა და სიკვდილს ებრძვის.

ტყუილად შემოკრებილხართ მისს გარშემო თქვენ, მისნო შინაყმანო: გოგოლაძეებნო, გ. წულუკიძეებნო, ნ. ელიავებნო და ზოგიერთნო მოსკოველნო სტუდენტნო! ტყუილად იქნევთ გაბრაზებით თქვენს ლილიპუტურ იარაღს, სხვა თქვენის ძალ-ღონით ვისი დაცვა შეგიძლიათ!..

ტყუილა უბრალოდ დასტირით თქვენს დასახიჩრებულ კერპს; ის ხელ-ახლად ვერ დაბრძანდება კვარცხლბეკზედ...

გირჩევთ, გონზე მოხვიდეთ და იტიროთ თავები თქვენნი: თქვენი ბავშური წინდაუხედაობა, თავხედობა და არამკითხე ქომაგობა...

თქვენი კერპი ვერ იხსნა ხიფათისაგან ვერც მისმა მაღალ-ფრაზიანმა ღაღადისმა, ვერც მრავალ-სიტყვაობამ, ვერც მისმა ვითომ ახალ იდეების თავისებურმა ქადაგებამ, ვერც მისმა წუწუნმა, ვითომცდა შეურაცხებულ სიმართლე-ჭეშმარიტების აღსადგენად... რატომ? იმიტომ რომ სუყველაფერი ეს მხოლოდ გარეგანი საშუალებანია, ერთგვარი ხერხია, შინაგან უშინაარსობის და სიმჩატის დასაფარავად ხმარებული...

ბ-ნი ჟორდანია, დიახ, სცდილობს ფრაზების გუნდაობით და ზიზილ-პიპილიანის წინადადებას შეზავებით ფონს გავიდეს და უკვე მოწინავე და პროგრესიულ პუბლიცისტის სახელი დაიმსახუროს და თვისი უშინაარსობა დაჰფაროს!

მაგრამ, ვიტყვი ლოკკის სიტყვებით: „нѣтъ покрывала настолько толстаго или тонькаго, чтобы оно могло прикрыть само себя"...

მოვიყვანთ აგრეთვე ნ. ნიკოლაძის სიტყვებს, რომელიც ზედმიწევნით, თუ მცა-კი ანალოგიურად, ახასიათებს ნოე ჟორდანიის ლიტერატურულ მანერასა და ხერხს: „ცოტათი რომ მიიხედ-მოიხედოთ, ამბობს ჩვენი ნიჭიერი პუბლიცისტი, მალე გაიხსენებთ, რომ თავის დღეში ლაზათიანი და ნამდვილად მშვენიერი ქალი პირზე ფერუმარილს არ მიიკარებს, არც მართლა მდიდარი კაცი ოქრო-ვერცხლით თავის ტან-საცმელს არ ააჭრელებს; იმათთვის ნამდვილი სიმდიდრე ან ჭეშმარიტი ლაზათი საკმაოა" (იხ. „ივერია", 1879 წ. № 2. „შინაური მიმოხილვა"). ნამდვილი პუბლიცისტისათვის, ვიტყვით ჩვენ, სიტყვების რახარუხი და ფრაზ-ტერმინების ხმარება არ არის საჭირო; ბუნებრივი ნიჭი, ცხოვრებაში ჩახვირვება, შეგნებული აზრი და ყოველ-მხრივი განვითარება — აი რა აბჯარ იარაღით არის ის აღჭურვილი და აი, რის საშუალებით იგი იბრძვის ცხოვრების გასაუმჯობესებლად!..

აქვს თუ არა ბ-ნ ჟორდანიას ეს თვისებანი? სამწუხაროდ, არა! და ამას მისი ნაწერები და მოქმედება ამტკიცებს...

და რაში მდგომარეობს ეს მისი თვისება, როგორ გამოიჩინა მან თავი, ან სად — ეს ბევრჯელ დავინახეთ და იმედია, აწიც ვნახავთ...

ყირიმელი

# უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ბურების საქმე ისე ცუდად წავიდა ამ ბოლო დროს, რომ ომის გათავებას ბევრი არ უნდა დააგვიანდეს. საქმის გარემოება როგორც გვიჩვენებს, ომი ინგლისის მინისტრების სურვილის თანხმად უნდა დამთავრდეს, ე. ი. ტრანსვაალსა და ორანჟის რესპუბლიკას დამოუკიდებლობა ჩამოერთმევათ და ინგლისის ახალშენებად გახდებიან. ლორდმა რობერტსმა ბლუმფონტენში დიდი ხნის ყოფნის შემდეგ, ისეთის სისწრაფით გაალაშქრა თავისი მრავალრიცხოვანი ჯარი ყოველ კუთხისაკენ, რომ მტერმა მოსაზრებაც ვერ მოასწრო, თუ როგორ მოქცეულიყო, და თავისის მხრივ სამაგალითო სისწრაფით და სისხლის დაუღვრელად დაუთმო ინგლისელებს სიმაგრეები და ქალაქები. როგორც დეპეშები იუწყება, პრეტორიის დაცლასაც შესდგომიან ბურები. იქიდამ ჯერ ჯერობით ქალებს, ბავშვებს და სურსათს ჰგზავნიან ჩრდილოეთ მხარეს მთებში და შემდეგ, ცხადია, მამაცებიც იქითკენ გაეშურებიან, რათა მიუდგომელ მთებს დროებით თავი შეაფარონ. გენერალი ბულლერიც, რომელსაც, როგორც ვიცით, აქამდისინ ერთხელაც არ არგუნა ბედმა მტერზე გამარჯვება, ეხლა გამხნევდა და დაუბრკოლებლად მიდის თავისი ჯარით ჩრდილოეთისაკენ. ბურები იმასაც-კი ვერ უწევენ წინააღმდეგობას, რომელიც დღემდისინ ისე ჰყავდათ შეშინებული. ერთი სიტყვით, ბურები მოიქანცნენ, ძალა გამოელიათ და იმედიც დაჰკარგეს. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ბურები რაც უნდა მამაცები და მოხერხებულები იყვნენ, ძალა მაინც აღმართის მხნელია, ადრე თუ გვიან უთუოდ თავისას გაიტანს, და ინგლისი რომ ძლიერია, ბურებთან შედარებით-კი არა, სხვებთანაც, ეს ხომ ყველასათვის ცხადია.

ორ პატარა რესპუბლიკას რომ დამოუკიდებლობა არ დაეკარგა, გარდა თავიანთ ძალ ღონისა, სხვების იმედიც უნდა ჰქონოდათ, ე. ი. იმისა, რომ რომელიმე დიდი სახელმწიფო ინგლისს გადაეღობებოდა წინ და ამგვარად იხსნიდა მათ განსაცდელისაგან. ვინ იცის, ასეთი იმედი, შეიძლება, კიდევაც ჰქონდათ, მაგრამ მათი წასარჩლება არც ერთმა სახელმწიფომ არ იკისრა. ბურების დესპანები, რომლებიც ევროპაში იყვნენ გაგზავნილი და დავალებული ჰქონდათ ემუამდგომლათ იქაურ სახელმწიფოების წინაშე დახმარება, გარდა ჰოლანდიისა, არც ერთ სახელმწიფოს მთავრობამ არ მიიღო ოფიციალურად, და გულდაწყვეტილები იძულებული იყვნენ ჩრდილო ამერიკის შტატებში წასულიყვნენ. ამერიკის მოქალაქენი ისეთის დიდის ამბით ემზადებოდნენ სამაგალითოდ დახვედროდნენ მათ, ისეთი სიტყვები გაისმოდა კრებებზე ბურების სასარგებლოდ, რომ თითქოს ეჭვს გარეშე არისო, რომ შეერთებული შტატები ხმას აღიმაღლებს ინგლისის ძალ მომრეობის წინააღმდეგო, მაგრამ ყოველივე იმედი გაცრუვდა. უკანასკნელ დეპეშებიდგან ცხადად სჩანს, რომ ამერიკის მთავრობისათვის თუმცა სასიამოვნოა სამხრეთ აფრიკის ომს ჩქარა ბოლო მოეღოს, მაგრამ სრულებითაც არა აქვს აზრად ბურების ხათრისათვის ინგლისი გადაიმტეროს.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

გერმანიის კანცლერს თავად ჰოჰენლოეს რუსეთში დიდძალი მამული აქვს. ნაწილი ამ მამულისა პეტროკოვისა და კელეცის გუბერნიებში ამას წინად ლოდზელმა ვაჭრებმა კ. კ. შეიბლერმა, ე. ე. გერბსტომმა და ი. ა. კუნიცერმა იყიდეს რამდენსამე მილიონ მანეთად. ამ მამულებში ქვა-ნახშირის დიდი მადნებია თურმე. ვაჭრებს განუზრახავთ იქ ქარხნების დაარსება, რისთვისაც სააქციონერო საზოგადოების შედგენას შესდგომიან. ძირის თანხად ამ საზოგადოებას 5 მილიონი მანეთი ექნება.

* * *

ამერიკაში კარგა ხანია ცოლის შერთვის ან ქალის გათხოვების საქმეში მაჭანკლობა გადავარდა; ეხლა ვისაც გათხოვება ან ცოლის შერთვა უნდა გაზეთს მიჰმართავს ხოლმე და იქ აცხადებს, დავეძებ ასეთსა და ასეთს საცოლოს ან საქმროსაო. ყოველ დღე ამერიკული გაზეთები აჭრელებულია თურმე ასეთის განცხადებებით. ამას წინად ნიუ-იორკის შტატ სოფელ ვალტონის მცხოვრებს ჩარლზ ჰოლმს მოჰკვდომია ცოლი, რიცხვით მეორე, და განუზრახავს მესამე ცოლის შერთვა. ამისათვის, როგორც მიღებულია, გაზეთისთვის მიუმართავს და განცხადება დაუბეჭდნია. სხვათა შორის განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ 50 წლისა ვარ, გარეგნობა ლამაზი არა მაქვს; ვეძებ კეთილს და მშრომელს ეგე 20—30 წლის ქალსაო. ჰოლმსი იმასაც აცხადებს, რომ დიდის შეძლების პატრონი არა ვარ: ჩემთვის პატარა სახლი მაქვს და თვეში 30 მანეთს ვიღებო. მეორე დღესვე ფოსტამ პირველი სამი წერილი მიუტანა ჰოლმსსა, შემდეგ-კი ისე დღე არ გასულა, რომ ათი და თხუთმეტი წერილი არ მიეტანა. წერილები ათის შტატიდგან მიუღია, ერთი კანადიდგანაც-კი ყოფილა. ქალები, ახალგაზდანი და ხნიერნი, ლამაზნი და ულამაზონი, სიამოვნებით ეგებებოდნენ ჰოლმსის განზრახვას და თანხმობას აცხადებდნენ ცოლობაზედ. ამასთან თითქმის ყველა ქალი ბოლოში სწერდა, იმედი მაქვს „ძვირფასო" ჰოლმს, მე ამირჩევთ თქვენს მეუღლედ და არა სხვას ვისმესაო.

* * *

ქ. ტამბოვში სცხოვრობს ერთი მდიდარი ვაჭარი პ—ვი. ამ ოჯახის წევრნი მწვალებელნი იყვნენ და მხოლოდ ამ რამდენისამე თვის წინად შემოუერთდნენ მართლ-მადიდებლობას. არ ისურვა მართლ-მადიდებლობის მიღება მხოლოდ ოჯახის თავმა თვით პ—ვმა, მოხუცმა კაცმა. პ—ვის ოჯახში ხშირად დადიოდა ერთი ახალგაზდა ღარიბი მოხელე. მოხელეს ძლიან მოსწონდა უმცროსი ქალი პ—ვისა და იმის იქ სიარულის მიზეზიც ეს იყო. მალე მოხელემ სიყვარულიც გამოუცხადა და სთხოვა, ცოლად გაჰყოლოდა. ყველანი თანახმანი გახდნენ ამ ქორწინებისა, წინააღმდეგი იყო მხოლოდ მოხუცი პ—ვი. ბოლოს ისიც დაიყოლიეს და ჯვარის წერის დღეც დანიშნეს. მოხუცი იქამდე მოარბილეს, რომ ახალგაზდა კაცს კარგა ბლომა ფულსაც დაჰპირდა. ჯვარის წერა აპრილის სამში უნდა მომხდარიყო. წინა დღეს მოხუცმა ოთახში, სადაც მთელ ოჯახს მოეყარა თავი, დიდი კონვერტი შეიტანა, თავისს ქალს გადასცა და უთხრა: „აი, შვილო, მანდ ხუთი ათასი მანეთია, ეგ მოსაწყობად გეყოფათ და მერე კიდევ სხვას მოგცემთო". რაღა ლაპარაკი უნდა, დანიშნულნი სიხარულით ცას მოეწივნენ, მაგრამ სიხარული მალე გაუქრათ, როდესაც პაკეტი გახსნეს: შიგ მართლაც 5000 მანეთი აღმოჩნდა, მაგრამ სულ ძველი, ხმარებიდგან გამოსული, ქაღალდის ფული. ახალგაზდებზედ ძალიან მოხუცი დაღონდა: ხუთი ათას მანეთის გარდა, შინ 16,000 მანეთი კიდევა ჰქონია თურმე ძველი ქაღალდის ფული. ეს ფული სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ კანტორაში მიუტანია, მაგრამ არ აუღიათ; მხოლოდ ურჩევიათ ფინანსთა მინისტრის წინაშე იშუამდგომლე, და იქნებ გამოგიცვალონ ეგ ფულიო. ჯვარის წერა გადაუდვიათ და მოხუცი და ახალგაზდა მოხელე პეტერბურგში წასულან შუამდგომლობის დასაწყებად.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 მაისი

**ლონდონი.** პრეტორიიდგან იუწყებიან 19 მაისს, რომ ტრანსვაალის მთავრობას აზრად აქვს მტერს არ დანებდეს, და გადასწყვიტა ბოლომდის განაგრძოს ბრძოლაო.

კრონშტადტიდგან იუწყებიან, რომ ინგლისის ქვეითა ჯარი წინ მიდისო. მთავარი სადგური წინ იქმნება გადატანილი. ჯარი მხნედ არის. ავადმყოფობა შემცირდა. რკინის გზით მიმოსვლა განახლებულია. მტერმა გადასწყვიტა განაგრძოს ბრძოლა და მისი ჯარი სანგრებს აკეთებს მდინარე რენოსტერთან.

იმას ზარბაზნები აქვს. ტრანსვაალელი ბურები კვეხულობენ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ და ინგლისელებს ვსძლევთო.

ლორენცო-მარკეზიდგან იუწყებიან 22 მაისს, რომ კრიუგერმა თავისი ქონება გადაიტანა თავისის მეგობრების სახელობაზე იმ შემთხვევისათვის, თუ ინგლისელებმა მისი ჩამორთმევა მოიწადინესო.

ბულლერმა გამოაცხადა თავისს ჯარში, რომ ბურები გადავიდნენ ტრანსვაალიდგან ორანჟის რესპუბლიკაში და ლეინონეკი დაიჭირესო.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება გონინგესპრუიტიდგან: მეფკინგის განთავისუფლების დროს მტერზე იერიში მიიტანა ჩვენმა ჯარმა, სრულიად დაამარცხა და დიდი ვნება მიაყენა. ინგლისელების მხრივ მოკვდა 3 და დაიჭრა 22 კაცი. მეფკინგიდგან გამოსულმა მეციხოვნე ჯარმა საშველად მისულ ჯართან ერთად იერიში მიიტანა მტრის მთავარ ბანაკზე, თოფ-ზარბაზნები „დაუშინა და ბანაკიდგან განდევნა, ამას თანავე ბურების ჯარის უფროსი სნეიმანი კინაღამ ტყვედ ჩაუვარდა ხელში ჩვენს ჯარს. ინგლისელებს დარჩათ მტრის ერთი ზარბაზანი და აურებელი სამხედრო მასალა. ბანაკში იპოვნეს 5 მოკლული კაცი და 15 დაჭრილი. მტერი უკან იწევს, გარდა ერთი რაზმისა, რომელსაც აღშფოთებლად უჭირავს თავი; შესაძლებელია, ეს რაზმი იფარავდეს უკან დახეულ რაზმებს. შემდეგ რობერტსი იუწყება, რომ ჰამილტონი, დევეტის ჯართან შეტაკების შემდეგ, გეილბრონში მივიდაო. ბროდვუდმა დაიხარჩუნა ბურების 15 ურემი. ჰამილტონმა დაჰკარგა 75 კაციო.

ნიუ-კესტლიდგან იუწყებიან: რკინის გზით მიმოსვლა განახლდა. ნიუ-კესტლში, ბურების წასვლის შემდეგ, ქალაქის დარაჯთა რაზმი შესდგა. ნიუ-კესტლში მისულმა ფერმერმა სთქვა, რომ ლენგსნეკთან დაბანაკებულ ბურებს ძამველი ჯარები მიემატა და მათი რიცხვი 5000 კაცამდე ავიდა, მაგრამ ეჭვი აქვთ მტერს შესამჩნევი წინააღმდეგობა გაუწიონო.

**ლონდონი.** გაზეთები აცხადებენ, რომ მაკ-კინლეიმ ისეთი პასუხი მისცა ბურების დესპანებს, როგორსაც ბრიტანიის მთავრობა მოელოდა მეგობარ ერის მხრივო.

უკანასკნელ სიით, 19 მაისამდე ბრიტანიის იხედრობას დაჰკლებია 26,614 კაცი; ამ რიცხვში ჩათვლილი არ არიან მრავალი ავადმყოფები, რომელნიც საავადმყოფოებში იმყოფებიან.

**პარიჟი.** ლუბემ და დიდმა მთავარმა ვლადიმირ ალექსანდრეს ძემ ერთმანეთს ლარბაზობა გაუწიეს.

**ნიუ-იორკი.** იმის პასუხად, რომ მართალია თუ არა, ვითომც ტრანსვაალი ომის შეწყვეტას თხოულობდესო, კრიუგერმა დეპეშა გამოუგზავნა გაზეთ „World"-ს, რომ ეს ამბავი მართალი არ არისო.

11 მაისი

**პეტერბურგი.** რადგან სამხედრო მინისტრი სამსახურისა გამო რამდენისამე ხნით პეტერბურგიდგან წავიდა, უმაღლესად ნაბრძანებია სამხედრო მინისტრის თანამდებობა შეასრულოს მთავარ შტაბის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა სახაროვმა.

**კონსტანტინეპოლი.** ამერიკის ელჩმა პორტას ნოტა გადასცა, რომელშიაც ამტკიცებს, რომ საჭიროა ჩქარა გადასწყვიტოთ კითხვა დაჯილდოების შესახებ, რომელიც სომხების მიერ მომხდარ უწესოების დროს მოვითხოვეთო.

**გონინგსპრუიტი.** ფრენჩი გავიდა მდინარე რენოსტერში გონინგსპრუიტის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს. ეს მოძრაობა, რომელიც მოხდა ჰამილტონის მოძრაობის დროს, შეძლებას აღარ მისცემს ბურებს სიმაგრეებში დარჩნენ, რომელიც ინგლისის ბანაკიდგან 20 მილის მანძილზე იმყოფება. უკანასკნელ ცნობებიდგან სჩანს, რომ მტერს ყოველივე ლონისძიება უხმარია წინააღმდეგობა გაეწია ჩვენი ჯარისათვის და 15 ზარბაზანი ჰქონია.

**კიმბერლეი.** მეფკინგის მცხოვრები მოვიდა, რომელმაც ამბავი მოიტანა, რომ გზა თავისუფალი არისო. ფრეიბურგის 800 მეამბოხე დაგვნებდა; ზოგიერთები, რომელთაც შერიგება არ მოიწადინეს, ტრანსვაალში გაიქცნენ. ფრეიბურგში ციება არის გავრცელებული, რომელიც ბურების ბანაკიდგან შემოიტანეს.

**კაპშტადტი.** უორენმა დუგლასი დაიჭირა. მეამბოხეთა ბანაკში ინგლისელებმა დაინარჩუნეს მრავალი სანოვაგე.

**პეკინი.** დიპლომატთა კრებულმა ცუნგ-ლი-იამენს ერთობილი ნოტა წარუდგინა, რომელშიაც ურჩევს მთავრობას მოსპოს უცხოელების წინააღმდეგ მოძრაობა წვალებელთა „დიდი მუშტისა", რომელი მოძრაობაც საშინლად გავრცელდა. ნოტაში გადაჭრით არის ნათქვამი, რომ მოძრაობა თუ არ მოისპო, სახელმწიფოების წარმომადგენლები იძულებული ვიქნებით პეკინში ხელ-ახლა დავიბაროთ სამხედრო რაზმებიო.

პეტერბურგის ბირჟა, 10 მაისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5% ...მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 208 |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 91¼ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| 4½% იმავე ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | 98 | — „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა. . . | — „ | 90 | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 308½ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — „ | — „ | 266 |

## წერილი რედაქციის მიმართ

ჩემს ულრმეს პატივისცემას ვუცხადებ ქვემო აღნიშნულთ, რომელთაც ახალციხის ქართულ სახალხო წიგნთ-საცავისა და სამკითხველოსათვის შენობის ასაგებად გამომიგზავნეს შემდეგი შემოწირულებანი: 1) ე. ალლეგრინიმ—100 მ., 2) ნ. ა. საბაევმა—50 მან., 3) მ. ს. ბეთანიშვილმა—50 მ., 4) პ. ლ. მჭედლიშვილმა—25 მ., 5) ფ. ფილიპოვმა—10 მ., 6) გრიგოლ ვოლსკიმ—10 მ., 7) დ. ზილბერმეისტერმა—5 მ. 8) უფ. ჯაყელმა—5 მ., 9) ე. ბერძენიშვილმა—5 მ., 10) ა. გოგიჯანოვმა—5 მ., 11) თ-დმა ა. ლორთქიფანიძემ—5 მ., 12) ბ. ზ. ფირალოვმა—5 მ, და 13) ი. ს. მესხმა—5 მ., სულ მიღებულია—280 მან.

იმედი მაქვს სხვებიც არ დაიშურებენ თავიანთ წვლილს და აღმოგვიჩენენ დახმარებას ამ კეთილის საქმისათვის.

მარიამ იოსების ასული ბეთანიშვილისა.

—

უკულითადესს მადლობას ვუცხადებ იმათ, რომელთაც არ დაიშურეს და შემწეობა აღმოუჩინეს მიქელ-გაბრიელის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს.

სია შემომწირველთა: პარ. ჟავანაძემ და ილ. ტუღუშმა თითომ 3 მ., ნ. დ. კსანტოსმა, ირ. ერქომაიშვილმა, ვლ. თოდრიამ, სიმ. დევიძემ, ივ. მოდებაძემ და სამ. მოდებაძემ ოროლი მან., ნიკ. ფხალაძემ, დარ. მარაქველიძემ, ილ. გეგიამ, ირ. კოპალეიშვილმა, ვას. გეგიამ, ალ. ახობაძემ, მიხ. წერეთელმა, ალ. რუხაძემ, ფარ. ჩიგოგიძემ, ამ. ქართველიშვილმა, ალ. გრ. წერეთელმა, ალ. ხარაძემ, ბ. დუდუჩავამ, ს. დუდუჩავამ, ბეგ. ქართველიშვილმა, სამ. ყაზაიშვილმა, ნიკ. ოთხმეზურმა, მინა სალარიძემ, სარ. მხეიძემ, ვლ. ვ. შავდიამ, ხარ. წულუფოპულომ, ბაგ. კახიანმა, გრ. გოგელიამ, პორ. თოფურიამ, ილ. მიქაძემ, დ. ქადაგიძემ, და ვას. გომართელმა—თითო მანეთი; ალფ. ჭამკოტაძემ, იაგ. მარგალეიშვილმა, ასპან აბესაძემ, პლ. ბუხნიკაშვილმა, ილ. გორგაძემ, და მაქ. გორდაძემ, ...ათი შაური. ნიკ. ჩიჩუამ, ნიკ. გაფრინდაშვილმა და ივ. კაშიბაძემ ოროლი აბაზი' ნ. კოხრეიძემ 30 კ. სულ შედგა 49 მ. 50., რომელიც გადავეცი სამკითხველოს გამგეს მოსე ა. მეგრელიძეს.

გამგეობის მონდობილობით თ. გ. ბოლქვაძე.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

16 მაისი

მესამე სამოქალაქო დეპარტამენტი.

დავანი, რომელიც გამოწვეულ იქმნენ გორის მაზრის აგარაკ ხარულას და ოზურგეთის მაზრის აგარაკ ვაკის-ჯვარის გამიჯვნის დროს.

ცემის ბრალი ედება.

ვარლაამ ლოლუასი, რომელსაც სიყალბის ჩადენის ბრალი ედება.

ერმილე ეფრემიძისა, რომელსაც გატაცების ბრალი ედება.

სისხლის საქმეთა პირველი დეპარტამენტი.

საქმე სიდონია გურიელისა, რომელსაც მაჰანკლობა ჰბრალდება.

სერაფიონ და კესარია ბიცაძეთა და ნანიკო ჭყონიასი, რომელთაც სასჯელთა დებულების მე-1690 მუხ. აღნიშნული დანაშაული ედებათ ბრალად.

23 მაისი

საქმე ვლადიმირ კემულარიასი, რომელსაც სასჯ. დებულ. მე-1531 მუხ. აღნიშნული დანაშაული ედება ბრალად.

ერეკლე მგელაძისა—სასჯ. დებ. მე-1653 მუხ. აღნიშნული დანაშაულის გამო.

რეჯაბ კუთელიასი, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ბრალდება.

ამას გარდა განხილულ იქმნება თორმეტი იმათი საქმე, რომელთაც ნებადაურთველად არაყის გამოხდა ჰბრალდებათ გორის მაზრაში, სახელდობრ საქმენი:

თავ. იაკობ მაჩაბლისა.
იოსებ და ნიკო მარძანიძეებისა.
გიორგი გურასპაშვილისა.
მართა ზაუთაშვილისა.
ელისაბედ არდემონაშვილისა.
სალომე ბუზალაძისა.
გიგო კოჭაშვილისა.
სიმონ მახარაძისა.
სოფიო გიგოლაშვილისა.
იობი ბეტეშვილისა.
მარიამ ცხოვრებაშვილისა.
გოზაშვილისა და ბოზაშვილისა.


## განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

აცხადებს, რომ ამა წლის 12 მაისს შუადღის 12 საათზედ, იმის თანადასწრებით, მოხდება

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაიცემა სამუშაო ელისაბედის ქუჩის გაგრძელების (დიდუბიდგან ნემეცების ახალშენამდე) შესაკეთებლად. სამუშაო 1000 მანეთისაა.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან პირობანი გასინჯოს გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე კვირა უქმის გარდა 9 დკან 3 საათამდე. (3—6.—2)



**რა უპირატესობა აქვს სხვა საზოგადოებასთან შედარებით**

# ნიუ-იორკის

**საზოგადოებაში სიცოცხლის დაზღვევას?**

ის, რომ ეს საზოგადოება ერთი უდიდესთაგანია და სანდოა დედამიწაზედ.

ის, რომ იმისი აქტივი 416,773,000 მანეთს აღემატება.

ის, რომ „ნიუ-იორკის" საზოგადოება საურთი-ერთოა და იმისი თანხები და მოგებანი დაზღვეულთა საკუთრებას შეადგენს.

ის, რომ „ნიუ-იორკს" საპატიო წარსული აქვს, 54 წელიწადი არსებობს, რომლის განმავლობაშიაც იმის საფინანსო ძალა და წარმატება პროგრესიულად იზრდება,

ის, რომ იმის პოლისები ნაღდი და ეჭვ შეუტანელია, თუ პრემია თავისს დროზედ იქმნება შეტანილი, საზოგადოება დაუყოვნებლივ და უდავოდ იხდის დაზღვევის გადასახადს და, ამ რიგად, დამზღვევს სრული იმედი უნდა ჰქონდეს, რომ იმისი ქვრივი და შვილები ანუ კანონიერი მემკვიდრენი უდავოდ მიიღებენ თანხას.

ის, რომ იმისი პოლისი სამის წლის შემდეგ დაურღვეველი ხდება იმ შემთხვევაში, თუ შეჩერებულ იქმნა პრემიების გადახდა, დაზღვევის წინ-ნდელი თანხა მაინცა რჩება რამდენისამე წლის განმავლობაში უხარჯოთ, ანუ დამზღვევს შეუძლიან მიიღოს დაკლებულის ფასით სრულად ფას-გარდახდილი პოლისი იმავე პირობებით, რა პირობებითაც პირველი პოლისი იყო, ანუ, დასასრულ, შეუძლიან ნაღდ ფულად მიიღოს პოლისის ფასი.

ის, რომ თუ პოლისი ძალაში იქმნება სამი წლის განმავლობაში მაინც, დამზღვევს შეუძლიან მიიღოს საზოგადოებისაგან სესხი წლიურის 6%-საგან.

ის, რომ „ნიუ-იორკის" საზოგადოება ისეთს პოლისებსაც იძლევა, რომლის ძალითაც, დაზღვეულის თანხის გარდახდის გარდა, მემკვიდრეებს დაუბრუნდებათ დაზღვევისათვის შეტანილი ყველა პრემია იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი გარდაიცვლება ხელ-შეკრულობათ დადებულ ვადის—10, 15 ან 20 წლის,—განმავლობაში.

ის, რომ „ნიუ იორკის" საზოგადოებას სამუდამო წინდად შეტანილ 500,000 მანეთის გარდა, საპრემიო ფული რუსეთში დაზღვეულთა დასაკმაყოფილებლად შეაქვს სახელმწიფო ბანკში. ამ ჟამად განსაკუთრებული ფონდი შენახულის ფულისა „ნიუ-იორკის" საზოგადოებაში იმ დაზღვეულთა, რომელნიც რუსეთში სცხოვრობენ, 9,053,000 მანეთს აღემატება.

ის, რომ „ნიუ-იორკის საზოგადოების მოქმედება რუსეთში რუსეთის მთავრობის კონტროლის ქვეშ იმყოფება, ასე რომ პოლისები ყოველის მხრით უზრუნველ ყოფილია.

ის, რომ ყველა დასახელებულ პირობათა გამო, „ნიუ-იორკის" საზოგადოების პოლისი არც ხარჯს შეადგენს და არც მეტ რასმეს დამზღვევისათვის: იგი საუკეთესო ქონებაა, რომელიც ყველას შეუძლიან დაუტოვოს თავისს ოჯახს, რადგანაც იგი შეიძლება ფულად იქმნას გარდაქცეული და ისეთ და- [illegible]

ის, რომ „ნიუ-იორკის" საზოგადოება [illegible]

მთავარი გამგეობა რუსეთისათვის: პეტერბურგი, მალაია მორსკაია, 12.

საზოგადოების საქმეთა მთავარი გამგე რუსეთში პ. პ. მელლერი.

განყოფილება ტფილისში: გოლოვინის პროსპექტი, ახალი სახლი არაფელოვისა (კადეტთ კორპუსის პირდაპირ)

(12-50-6)